საბოლოო შედეგი (OUTCOME)		<p>ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტები: დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო პროცესი და სასკოლო მზაობის პროგრამის უზრუნველყოფა, სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის განმავლობაში ისარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1600 შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 87%-ს შეადგენს.</p>	

კოდი	პროგრამის დასახელება	განათლების ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 03			653.3
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება.	
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>პროგრამის ფარგლებში ლაგოდეხის მინიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხორციელდება საჯარო სკოლის იმ მოსწავლეების ტრანსპორტირება, რომელთა საცხოვრებელი ადგილი სკოლიდან მინიმუმ 2 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს.</p> <p>პროგრამის ფარგლებში, ასევე ხორციელდება საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლები იყოს კეთილმოწყობილი და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებმა სასკოლო ასაკის მქონე ყველა მოქალაქემ შეძლოს საშუალო განათლების მიღება.</p>	
საბოლოო შედეგი (OUTCOME)		<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლები არის კეთილმოწყობილი, ასევე საჯარო სკოლის მოსწავლეები ნაკლებ დროსა და რესურს ხარჯავენ სკოლაში წასვლისა და სკოლიდან საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებისათვის.</p>	



კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	წარმატებული პედაგოგის დაჯილდოება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 04			2.5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური,		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ლაგოდების მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის მოქმედი ან ყოფილი - საქართველოს დამსახურებული ან მენტორი მასწავლებლის ფულადი ჯილდოს გადაცემა ტიტულის მოპოვებისთვის, მხოლოდ ერთხელ - 500 ლარის ოდენობით.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <p>განათლების სექტორში კვალიფიციური კადრების გაზრდა.</p>		
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	პედაგოგების წახალისებით, კვალიფიკაციის ამაღლებით დანტერესებული პედაგოგების რიცხვი გაზრდილია.		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2134.4 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა	დაფინანსება 2024-2027 წლებზე
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2,134.4	7,562.4
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	500.2	1,795.2
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	341.0	1,486.0
05 01 02	წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება	50.0	200.0
05 01 03	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	109.2	109.2
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,329.0	5,534.0
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	947.5	3,902.5
05 02 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	341.5	1,471.5
05 02 03	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	0.0	0.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	40.0	160.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	53.2	233.2
05 04	„ლაგოდების მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოების ინიციატივების“ დაფინანსება/თანადაფინანსება	55.0	220.0
05 05	წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოება	140.0	590.0
	საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და		



05 06	ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსება	35.0	140.0
05 07	წარმატებული ქორეოგრაფიული ან/და ფოლკლორული ანსამბლების თანადაფინანსება	22.0	88.0

კოდი	პროგრამის დასახელება	სპორტის სფეროს განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01			500.2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		<ul style="list-style-type: none"> ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია ა(ა)იპ კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი 	
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეზილიტაცია, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება და ა(ა)იპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი“ის სუბსიდირება.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <p>სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;</p>	
საბოლოო შედეგი (OUTCOME)		გაზრდილია სპორტის სხვადასხვა წრეებში ჩართული ბავშვების რაოდენობა, ასევე გაზრდილია ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდევარ მოქალაქეთა რაოდენობა.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 01			341.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>სპორტული ცენტრი აერთიანებს 8-სპორტულ მიმართულებას, ესენია: ფეხბურთი (295 ბავშვი, გოგო 35, ბიჭი 260); ქართული ჭიდაობა (65 ბავშვი, გოგო 20, ბიჭი 45); მიუდო (57 ბავშვი ბიჭები 43, გოგო 14); ჭადრაკი (10 ბავშვი, გოგო-7, ბიჭი-3); კალათბურთი (71 ბავშვი გოგო-20 ბიჭი 51). კრივი (36 ბავშვი გოგო-16, ბიჭი-20), ფრენბურთი (68 ბავშვი, გოგო-28 ბიჭი-40) ხელბურთი (16 ბავშვი გოგო-6, ბიჭი-10) სულ ცენტრში სპორტის სხვადასხვა სახეობებს ეუფლება 618 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო ვარჯიშები უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სპორტული ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <p>სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გადრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;</p>	
შუალედური შედეგი (OUTPUT)		გაზრდილია სპორტის სხვადასხვა წრეებში ჩართული ბავშვების რაოდენობა, ასევე გაზრდილია ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდევარ მოქალაქეთა რაოდენობა.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 02			50.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია	
		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება. ასევე გუნდის გამარჯვების შემთხვევაში (ფეხბურთში, ფრენბურთში, ხელბურთში,	



<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>კალათბურთში ან სხვა) გუნდის თითოეული სპორტსმენის და მწვრთნელის დაჯილდოება. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, სამოქალაქო აქტიურობის, სპორტის გავრცელებული სახეობებისათვის ტრადიციების შენარჩუნებისა და მათი პოპულარიზაციის მიზნით. (დამტკიცებული წესის შესაბამისად).</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <p>საქართველოს სახელით მოასპარეზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრში მოქმედ სპორტულ წრეებში აღზრდილი და ბოლო სამი წლის განმავლობაში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება.</p>
<p>შუალედური შედეგი (OUTPUT)</p>	<p>ა(ა)იპ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრში მოქმედ სპორტულ წრეებში აღზრდილი წარმატებული სპორტსმენების რაოდენობის ზრდა.</p>

<p>კოდი</p> <p>05 01 03</p>	<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში</p>	<p>2024 წლის დაფინანსება ათას ლარში</p> <p>109.2</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>		<p>ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური</p>	
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>		<p>ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხორციელდება სხვადასხვა სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რათა ხელი შეეწყოს მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.</p>	
<p>შუალედური შედეგი (OUTPUT)</p>		<p>ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არის გამართული სპორტული ინფრასტრუქტურა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაში გაზრდილია იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ეწევიან ჯანსაღი ცხოვრების წესს.</p>	

<p>კოდი</p> <p>05 02</p>	<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კულტურის სფეროს განვითარება</p>	<p>2024 წლის დაფინანსება ათას ლარში</p> <p>1,329.0</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>		<ul style="list-style-type: none"> • ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება • ა(ა)იპ კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი 	
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>		<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი“-ის და ა(ა)იპ „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“-ის სუბსიდირება, ასევე სხვადასხვა კულტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა შეძლონ სახელოვნებო განათლების მიღება და მონაწილეობის მიღება ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში. • კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე. • განხორციელდეს სხვადასხვა კულტურული ობიექტების რეაბილიტაცია. 	
<p>საბოლოო შედეგი (OUTCOME)</p>		<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა ახალგაზრდას აქვს შესაძლებლობა მიიღოს სახელოვნებო განათლება. • მუნიციპალიტეტის მასშტაბით ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარება. • ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების რეაბილიტაცია. 	

<p>კოდი</p> <p>05 02 01</p>	<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა</p>	<p>2024 წლის დაფინანსება ათას ლარში</p> <p>947.5</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>			



სამსახური	ა(ა)იპ კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტში კულტურის მიმართულებით პოლიტიკას განსაზღვრავს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული სამსახური. სამსახური გეგმავს და ახორციელებს მასობრივ კულტურულ ღონისძიებებს, ფესტივალებს, ლიტერატურულ შემოქმედებითი საღამოებს; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას. ახდენს მოქალაქეების ინფორმირებას და უზრუნველყოფს ღონისძიებებში მოქალაქეების ჩართულობას.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება; კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღრმავების ხელშეწყობა; შემოქმედებითი პროცესების სტიმულირება.</p>
შუალედური შედეგი (OUTPUT)	ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; შედეგად გაზრდილი იქნება შემოქმედებითი სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.

კოდი	პროგრამის დასახელება	სახელოვნო განათლების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 02			341.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ლაგოდების მუნიციპალიტეტის სახელოვნო სკოლების გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლაგოდების მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 სამუსიკო სკოლა (ქ. ლაგოდების, სოფ. აფენის, სოფ. ლელიანის და სოფ. ვარდისუბნის) და 1 სამხატვრო (ქ. ლაგოდების) სკოლა.</p> <p>სამუსიკო სკოლებში გაერთიანებულია საფორტეპიანო და ვიოლინოს მიმართულებები. სამუსიკო სკოლებში 7 წლიან სამუსიკო განათლებას იღებს ლაგოდების მუნიციპალიტეტში მცხოვრები 216 ბავშვი აქედან 166 გოგო და 50 ბიჭი. სკოლებში დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 40 თანამშრომელს აქედან 36 ქალი.</p> <p>სამხატვრო სკოლაში ბავშვები უფლებიან ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას, გობელენს, ხელოვნებათმცოდნეობას. სამხატვრო სკოლაში 5 წლიანი სამხატვრო განათლებას იღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 40 ბავშვი აქედან 26 გოგო და 14 ბიჭი. სკოლაში სულ დასაქმებულია 3 პედაგოგი - 3 ქალი.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ა(ა)იპ - ლაგოდების მუნიციპალიტეტის სახელოვნო სკოლების გაერთიანების მიმდინარე ხარჯები (ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი). დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს 18 ადამიანს, აქედან 14 ქალი და 4 მამაკაცი.</p> <p>სახელოვნო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კლასიკური მუსიკის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; უფასო, საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.</p>		
შუალედური შედეგი (OUTPUT)	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები და სამხატვრო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამხატვრო და სამუსიკო განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების მოსწავლეები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.</p> <p>ჩატარდა გეგმით გათვალისწინებული შიდა სასკოლო კონცერტები და კონკურსები, და გაერთიანების გუნდების ზეიმი 1 ივნისს, აგრეთვე 10 ივნისის გაერთიანების ღია აკადემიური კონცერტი. სახალწლო ღია კონცერტები ყველა სკოლაში, ქალთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტები ასევე ყველა სკოლაში. შიდა კონკურსები, პერიოდულად ტარდებოდა ღია გაკვეთილები სხვადასხვა საგნებში. ყველა კონცერტს თან ახლდა სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები.</p>		



პროგრამის დასახელება	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	53.2
05 03		
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი	
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, ახალგაზრდებისთვის არაფორმალური საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობა, ახალგაზრდების ჩართულობას მასობრივ ღონისძიებებში, ახალგაზრდების ნიჭისა და უნარების თვითრეალიზაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მასობრივი ახალგაზრდული ღონისძიებები, ფესტივალები, გასართობი, შემეცნებითი და არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობები, ლაშქრობები.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <p>ახალგაზრდობის მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბავშვებისა და ახალგაზრდების თვითრეალიზაციის შესაძლებლობას, მათი საქმიანობის სტიმულირებას. მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში მოეწყობა ლაშქრობები, არქეოლოგიური და ახალგაზრდული ბანაკები.</p>	
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	არაფორმალური განათლების და სხვადასხვა შემეცნებით თუ ინტელექტუალურ აქტივობებში ჩართული ახალგაზრდები. ასევე ჩართულნი არიან როგორც პროგრამის დაგეგმვის პროცესში ასევე სხვადასხვა გასართობი ღონისძიებების ორგანიზებაში. ხდება მათი ნიჭისა და უნარების გამოვლენა.	

კოდი	პროგრამის დასახელება	„ლაგოდების მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოების ინიციატივების“ დაფინანსება/თანადაფინანსება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 04			55.0
პროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ერთჯერადი ან მრავალჯერადი ახალგაზრდული ღონისძიებ(ებ)ის (განათლების, კულტურის, სპორტის, ბანაკების და სხვა) ორგანიზება, არაფორმალური განათლება (ტრენინგი/სემინარი), საერთაშორისო და ადგილობრივი გაცვლითი ახალგაზრდული პროგრამების ორგანიზება და მათში მონაწილეობა, ახალგაზრდული მეწარმეობის მხარდაჭერა, ინოვაციური იდეის მხარდაჭერა, სოციალურ სფეროში განსახორციელებელი ისეთი აქტივობა, რომელიც არ ხორციელდება ადგილობრივი და სახელმწიფო სხვა პროგრამის ფარგლებში, ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის ხელშეწყობა, გენდერული საკითხები, ჯანდაცვა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, მცირე ინფრასტრუქტურის განვითარება რომელიც გამომდინარეობს ახალგაზრდების ინტერესებიდან, გარემოსდაცვითი საკითხები, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების განვითარებისთვის საჭირო სხვა პროექტების განხორციელება დამტკიცებული წესის მიხედვით.</p> <p>ლაგოდების მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოებს შეუძლიათ პროექტი განახორციელონ ინდივიდუალურად ან ერთობლივად.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <p>ახალგაზრდა ელექტორატის სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და კვალიფიკაციის გაზრდა, ადგილობრივ ხელისუფლებასთან სისტემური ინსტიტუციური დიალოგისა და თანამშრომლობის გზით.</p>		
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესებში ჩართული ახალგაზრდები		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 05			140,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური,		
	<p>ლაგოდების მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებისთვის, რომლებიც სკოლის დამთავრებისთანავე იმავე წელს ჩაირიცხებიან აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში, ერთჯერადი ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:</p> <p>ა) ოქროს მედალოსანი სტუდენტის ერთჯერადი ფულადი ჯილდო - 600 ლარის ოდენობით, ხოლო ერთიან</p>		



<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ეროვნულ გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მოპოვების შემთხვევაში – 1 000 ლარით;</p> <p>ბ) ვერცხლის მედალოსანი სტუდენტის ერთჯერადი ფულადი ჯილდო - 500 ლარის ოდენობით, ხოლო ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მოპოვების შემთხვევაში – 1 000 ლარით;</p> <p>გ) უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხული სტუდენტის ერთჯერადი ფულადი ჯილდო - 400 ლარის ოდენობით, ხოლო ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მოპოვების შემთხვევაში – 1 000 ლარით;</p> <p>2. ლაგოდების მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებისთვის, რომლებიც, სკოლის დამთავრებისთანავე იმავე წელს ჩაირიცხებიან აკრედიტირებულ პროფესიულ სასწავლებლებში, ერთჯერადი ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს - 300 ლარის ოდენობით.</p> <p>3. მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებისთვის, რომლებიც აგროვებენ ორივე სემესტრში, ყველა საგანში 91 დან -100 ქულამდე ან/და GPA რეიტინგი სემესტრის მიხედვით 91 -დან ზემოთ ქულას, ერთჯერადი ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს - 1000 ლარით.</p> <p>4. აკრედიტირებულ პროფესიულ სასწავლებელში ჩარიცხული, მაღალი აკადემიური მოსწრების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) სტუდენტებისთვის, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან და ამავე დროს ცხოვრობენ ლაგოდების მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ერთჯერადი ფულადი წახალისება განისაზღვრება - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების განათლების ხელშეწყობით და წახალისებით წარმატებული ახალგაზრდებისა და კვალიფიციური კადრების რაოდენობის ზრდა. ახალგაზრდებში, პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და დასაქმების ხელშეწყობა. შშმ პირთა პროფესიული განათლების დაუფლების ხელშეწყობა, მათი სოციალიზაციისა და დასაქმების რაოდენობის ზრდის მიზნით. ალკოჰოლიზმის, ლუდომანიის, აზარდტული თამაშებზე დამოკიდებული ახალგაზრდების, უმუშევრობის რიცხვის შემცირება .</p>
<p>საბოლოო შედეგი (OUTCOME)</p>	<p>მუნიციპალიტეტში მცხოვრები წარმატებული სტუდენტების, აბიტურიენტების, პროფესიული მიმართულებით გადამზადებული ახალგაზრდების რაოდენობა გაზრდილია, დასაქმებული კვალიფიციური კადრების რაოდენობა გაზრდილია და შეამცირებულა ალკოჰოლიზმის, ლუდომანიის, აზარდტული თამაშებზე დამოკიდებული და უმუშევარი ახალგაზრდების რიცხვი. გაზრდილია სოციალიზირებული და დასაქმებული შშმ პირების რაოდენობა.</p>

<p>კოდი 05 06</p>	<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსება</p>	<p>2024 წლის დაფინანსება ათას ლარში 35,0</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>		<p>ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური,</p>	
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>		<p>საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების განხორციელების მიზნით, ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიას უნდა მიმართოს ლაგოდების მუნიციპალიტეტში ან მის ფარგლებს გარეთ რეგისტრირებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა, წარუდგინოს სარეკლამო განაცხადი, რომლის შენაარსი პასუხობს საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ-შემეცნებით, კულტურულ ან/და ახალგაზრდული მიმართულების ხელშეწყობას და განვითარებას, ასევე დაურთოს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება და მოითხოვოს მიზნობრი თანადაფინანსების თანხა.</p> <p>საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს - 35000 ლარისა.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა, არაფორმალური განათლების მიღებით დაინტერესებული ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა, პასუხისმგებლიანი მოქალაქეების რაოდენობის ზრდა, მათი დამოკიდებულებებით (ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, ლუდომანია და ა.შ) დაინტერესებული ახალგაზრდების რიცხვის შემცირება, საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროგრამების განხორციელებით.</p>	
<p>საბოლოო შედეგი (OUTCOME)</p>		<p>განხორციელებულია საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროგრამები, გაზრდილია გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობა, გაზრდილია არაფორმალური განათლების მიღებით დაინტერესებული ახალგაზრდების რიცხვი, გაზრდილია პასუხისმგებლიანი მოქალაქეები რაოდენობა, შემცირებულია მათი დამოკიდებულებებით (ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, ლუდომანია და ა.შ) დაინტერესებული ახალგაზრდების რიცხვი.</p>	

<p>კოდი 05 07</p>	<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>წარმატებული ქორეოგრაფიული ან/და ფოლკლორული ანსამბლების თანადაფინანსება</p>	<p>2024 წლის დაფინანსება ათას ლარში 22,0</p>
-----------------------	--------------------------------	---	--



პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური,
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს მასშტაბით ფესტივალ -კონკურსებზე გამარჯვებული, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სახელით მონაწილე ქორეოგრაფიული ან/და ფოლკლორული ანსამბლი, რომელიც რეგისტრირებულია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ბოლო 3 წლის განმავლობაში უწყვეტად ახორციელებს წ/აღნიშნულ საქმიანობას, ანსამბლის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, ფორმების, აქსესუარების, მუსიკალური ინსტრუმენტების ან/და სხვა მსგავსი რეკვიზიტების შესაძენად, წელიწადში ერთხელ, ერთჯერადი თანადაფინანსების სახით, განისაზღვროს - 2000 ლარი. ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში მოქმედი ქორეოგრაფიული ან/და ფოლკლორული ანსამბლების ხელშეწყობით, ხელოვნების სფეროთი დაინტერესებული ახალგაზრდების რიცხვის ზრდა, დარგის (ხალხური შემოქმედების) კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაცია და მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდა, ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ ფესტივალებზე/კონკურსებზე მონაწილეობით.
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	გაზრდილია ქორეოგრაფიული და ფოლკლორული სფეროთი დაინტერესებული ახალგაზრდების რიცხვი, ახალგაზრდებში პოპულარულია კულტურული მრავალფეროვნებისა და ხალხური შემოქმედების დარგი, გაზრდილია ქვეყნის შიგნით და ქვეყნის ფარგლებს გარეთ ფესტივალებში/კონკურსებში მონაწილეობის რიცხვი და გაზრდილია ცნობადობა მუნიციპალიტეტის შესახებ.

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 5790,4 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა	დაფინანსება 2024-2027 წლებზე
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	5,790.4	11,232.5
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	227.7	1,012.7
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	227.7	1,012.7
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია	0.0	0.0
06 02	სოციალური დაცვა	5,562.7	10,219.8
06 02 01	ჰემო დიალიზზე და პერიტონიალურ დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვა	80.0	385.0
06 02 02	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	249.0	1,181.0
06 02 03	სამედიცინო კვლევებისა და სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება	500.0	2,155.0
06 02 04	უმწეო ხანდაზმულთა სოციალური რეაბილიტაციის თანადაფინანსების პროგრამა	87.0	370.0
06 02 05	სტუდენტების დახმარების პროგრამა	0.0	0.0
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა	160.0	730.0
06 02 07	იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა	19.2	76.8
06 02 08	ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	5.5	33.5
06 02 09	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	90.0	388.0



06 02 10	უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის თბობის სეზონთან დაკავშირებით ელექტროენერჯის ან/და ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსება	56.0	224.0
06 02 11	100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა	3.0	14.0
06 02 12	სარიტუალო ხარჯი	15.0	60.0
06 02 13	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დახმარების პროგრამა	78.0	352.5
06 02 14	მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა	4,210.0	4,210.0
06 02 15	სოციალური მიზნის მქონე პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება	10	40.0

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 01 01			227.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯან. დაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს: იმუნიზაციის განსახორციელებლად ვაქცინების, ანტირაბიული სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებების, სპეციფიკური შრატებისა და ასაცრელი მასალის მიღებას, შენახვას, გაცემა-განაწილებას ე.წ. „ცივი ჯაჭვის“ პრინციპის დაცვით);</p> <p>რუტინული ვაქცინაციისთვის კონტიგენტის განსაზღვრა, გეგმის შედგენა თითოეული ამცრელი დაწესებულების (ფიზიკური პირის) მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, საჭირო ვაქცინებისა და ასაცრელი მასალის რაოდენობის განსაზღვრა და წარდგენა დკსჯე (დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი) ცენტრში;</p> <p>სტრატეგიული ვაქცინებისა და შრატების მიწოდება ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულებისათვის, რომელიც აკმაყოფილებს ვაქცინებისა და შრატების ადმინისტრირებისათვის კანონით განსაზღვრულ ნორმებს;</p> <p>პროვადერების მიერ შესრულებული აცრების შედეგების მოძიება, შეჯამება სათანადო ფორმით და წარდგენა დკსჯე ცენტრში;</p> <p>მონიტორინგის განხორციელება ვაქცინებისა და შრატების მიწოდებლად რეგისტრირებულ დაწესებულებებზე, სარეგისტრაციო ფორმის შევსება და გაგზავნა დკსჯე ცენტრში;</p> <p>გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციაში მონაწილეობა (ვაქცინით და ასაცრელი მასალით შესაბამისი უფლების მქონე დაწესებულებისათვის მიწოდება).</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვა ვაქცინაციით მართვადი ინფექციებისაგან, მოსახლეობის დაცვა ანტირაბიული ვაქცინითა და იმუნოგლობულინით, ასევე სტრატეგიული ვაქცინებისა და შრატების ადგილობრივი სტრატეგიული მარაგის შექმნა.</p>	
შუალედური შედეგი (OUTPUT)		მართვადი ინფექციების საწინააღმდეგო ვაქცინაციით მოცვის მაღალი მაჩვენებელი, ზოგადი იმუნური ფუნქციის შექმნა, მართვადი ინფექციებისაგან დაცული მოსახლეობა.	

სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კოდი	2024 წლის დაფინანსება ათას
------	----------------------------



	პროგრამის დასახელება	სოციალური დაცვა	ლარში
06 02			5,562.7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარება; სოციალურად დაუცველთა დახმარების სისტემის სრულყოფა; მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობა; ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით დახმარება; იშვიათი, თანდაყოლილი, მძიმე დაავადების მქონე 18(წლამდე) ასაკის პაციენტების კვებით უზრუნველყოფა; იქთიოზი/ კანის ქრონიკული დაავადებით მქონე 18 წლამდე ასაკის პაციენტების დახმარება; დიაბეტით დაავადებულ 18 წლამდე ბავშვების დახმარება; გაფანტული სკლეროზის (G35) დიაგნოზის მქონე 18 დან 65 წლამდე ოჯახების მედიკამენტური მკურნალობის ხელშეწყობა; კოლოსტომის არსებობის შემთხვევაში, სამედიცინო ჩანთის დაფინანსების ხელშეწყობა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჰიგიენური საშუალებების დაფინანსება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, თირკმელებით დაავადებული მოქალაქეები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან დიალიზზე, მათი ტრანსპორტირების ხარჯით უზრუნველყოფა; 100 წლის და მეტი ასაკის მოხუცებულთა სოციალური დაცვა; მარტოხელა მშობლების, ობოლ და მარჩენალდაკარგულ, ობოლ და მზრუნველობამოკლებული ბავშვების, დედ-მამით ობოლი ბავშვების; ახალშობილებისა და მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა; რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების, ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების ხელშეწყობა და ეკონომიური გაძლიერება, დევნილთა ოჯახების დახმარება; ვეტერანთა ინტერესების დაცვა; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფა; ასევე მათი ოჯახების ინტერესების დაცვა.</p> <p>უკიდურესად გაჭირვებულ მოქალაქეთა ჩართვა უფასო კვებით მომსახურებაში; საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს კოორდინირება; სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ხანდაზმულების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მათი სოციალური ინტეგრაცია; უსახლკაროთა რეგისტრაცია, მათი უზრუნველყოფა დროებითი თავშესაფრით (ბინის ქირის უზრუნველყოფა). ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და შეზღუდული შესაძლებლობის (18 წლამდე ასაკის) ბავშვთა დახმარება; უსინათლოთა ოჯახების სოციალური დაცვა; იშვიათი, მძიმე დაავადების – დიუმენის კუნთოვანი დისტროფიის (მიოდისტროფია) მქონე ოჯახების დახმარება.</p>	
საბოლოო შედეგი (OUTCOME)		ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ჰემოდალიზზე და პერიტონიალურ დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 01			80.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამავდროულად ფაქტობრივად მაცხოვრებელი თირკმლის უკმარისობით დაავადებულთათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფა 200 ლარის ოდენობით პროგრამული დიალიზის ჩასატარებლად .</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <p>დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია.</p>	
შუალედური შედეგი (OUTPUT)		ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 02			249.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური	
		<p>ამ დახმარების მიმღები არის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამავდროულად ფაქტობრივად მაცხოვრებელი ოჯახები: კერძოდ ოჯახი, რომელსაც ჰყავს ოთხი და მეტი 18-წლამდე ასაკის შვილი, მრავალშვილიან ოჯახს დახმარება გაეწევა ერთჯერადად, თითოეულ 18-წლამდე ასაკის შვილზე 100 ლარის ოდენობით, ხოლო სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახს საახალწლოდ ერთჯერადად ჩაერიცხებათ თანხა - 300 ლარის ოდენობით. ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახზე პირველ შვილზე</p>	



<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>- ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით 100 ლარი ხოლო ყველა ახალშობილზე რომელიც დაიბადება წლის განმავლობაში გადაეცემა „ახალშობილის კალათი“. ოჯახი რომელსაც შეეძინა ტყუპი ბავშვი (ორი და მეტი) ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით ჩაერიცხებათ თანხა-500 (ხუთასი) ლარი. მარტოხელა, ობოლ და მარჩენალდაკარგულ ბავშვთა ოჯახს რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის ერთიან მეტი არასრულწლოვანი ბავშვი - 15 ლარი ყოველთვიურად, მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დასაფარად; ხოლო წლის ბოლოს, ერთჯერადი ჩაერიცხებათ თანხა - 300 ლარის ოდენობით. უდემამო ბავშვთა (18 წლამდე) ოჯახს თითოეულზე -100 ლარი, ყოველთვიურად მთელი წლის განმავლობაში. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირებს გაეწევათ ერთჯერადი ფულადი დახმარება -500 ლარის ოდენობით; რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვი, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი და ბრუნდება ბიოლოგიურ ოჯახში, მისი ეკონომიკურად გამძლიერების მიზნით, პროფესიული განათლების ხელშეწყობის თანადაფინანსების ხელშეწყობა.</p> <p>პროგრამით შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად 700-800 ოჯახის ფინანსური დახმარება.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <p>მრავალშვილიანი, ახალშობილების, ობოლი და მარჩენალდაკარგული, უდემამო ბავშვთა და მარტოხელა ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა.</p>
<p>შუალედური შედეგი (OUTPUT)</p>	<p>მრავალშვილიანი, ახალშობილი, ობოლი და მარჩენალდაკარგული და მარტოხელა ოჯახების გაუმჯობესებული მატერიალური მდგომარეობა.</p>

<p>კოდი</p> <p>06 02 03</p>	<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>სამედიცინო კვლევების, სტაციონალური მომსახურების თანადაფინანსების პროგრამა.</p>	<p>2024 წლის დაფინანსება ათას ლარში</p> <p>500.0</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>		<p>ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური</p>	
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>		<p>ოჯახზე, რომლის წევრი საჭიროებს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, მკურნალობის კვლევის დაფინანსებას ან თანადაფინანსებას, წლის განმავლობაში</p> <p>ლიმიტირებული თანხა განისაზღვროს 700 (შვიდასი) ლარის ოდენობით, რომლის გამოყენება შესაძლებელია წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ (შევსებამდე) კერძოდ: სამედიცინო დაწესებულებიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან პაციენტის მიერ გადასახდელი თანხიდან - 100 ლარამდე ასანაზღაურებელი თანხის 100%; 100 ლარს ზევით 200 ლარამდე მოთხოვნის შემთხვევაში - 100 ლარი; 200 ლარს ზევით პაციენტის ასანაზღაურებელი თანხის 50% არაუმეტეს - 700 ლარისა.</p> <p>იშვიათი, თანდაყოლილი, მძიმე დაავადების მქონე 18 წლამდე ასაკის პაციენტები კვებით პროდუქტის შესაძენად დაფინანსდებიან წელიწადში ერთჯერადად -500 ლარის ოდენობით; იქთიოზი/ კანის ქრონიკული დაავადებით მქონე 18 წლამდე ასაკის პაციენტებს რომლისთვისაც საჭიროა კანის დამატენიანებელი ჰიგიენური საშუალებების შეძენა, წელიწადში დაფინანსდებიან ორჯერ - 500-500 ლარის ოდენობით; დიაბეტით დაავადებულ 18 წლამდე ბავშვები, სისხლში გლუკოზის საანალიზო ტესტ-ჩხირების და შესაბამის რაოდენობის სისხლის ასაღები ლანცეტის ნემსების თანადაფინანსებას მიიღებენ თვეში არაუმეტეს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით; გაფანტული სკლეროზის (G35) დიაგნოზის მქონე 18 დან 65 წლამდე ოჯახების მედიკამენტური მკურნალობის ხელშეწყობის მიზნით, წელიწადში დაფინანსდებიან ორჯერ 500 - 500 ლარის ოდენობით; კოლოსტომის არსებობის შემთხვევაში, პაციენტებს სამედიცინო ჩანთის დაფინანსების ხელშეწყობის მიზნით ისარგებლებენ ყოველთვიურად არაუმეტეს 100 (ასი) ლარის ოდენობით; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამავდროულად ფაქტობრივად მაცხოვრებელი ონკოლოგიური (ავთვისებიანი სიმსივნეების) დაავადების მქონე პაციენტების მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების თანადაფინანსება განისაზღვრება წლიური ლიმიტი 1000 ლარის ოდენობით თანხა ჩაირიცხება შესაბამის სამედიცინო/სააფთიაქო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე; შშმ პირები, რომელთაც არ შეუძლიათ გადაადგილება და მუდმივად საჭიროებენ ჰიგიენურ საფენებს, აღნიშნული ჰიგიენური საშუალებების დაფინანსება თვეში არაუმეტეს 50 ლარისა (საჭიროების მიხედვით).</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <p>ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება</p>	
<p>შუალედური შედეგი (OUTPUT)</p>		<p>გამოჯანმრთელებული ბენეფიციარები.</p>	

<p>კოდი</p>		<p>2024 წლის დაფინანსება ათას ლარში</p>
--------------------	--	---



06 02 04	ქვეპროგრამის დასახელება	უმწეო ხანდაზმულთა სოციალური რეაბილიტაციის თანადაფინანსების პროგრამა	87.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		უმწეო ხანდაზმულთა სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა (ლაგოდეხის წითელი ჯვარის ფილიალის თანადაფინანსება) ჩართულია 70 ბენეფიციარი. ქვეპროგრამის მიზანია: უმწეო ხანდაზმულთა ხელშეწობა	
შუალედური შედეგი (OUTPUT)		უმწეო ხანდაზმულთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 06			160.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში. ქვეპროგრამით შესაძლებელი იქნება 140 ბენეფიციარის კვებით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის მიზანია: უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკვებით უზრუნველყოფა.	
